<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესების ხელშეწყობის მიზნით

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეიქმნას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია 2 წლის ვადით.
2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს 15 წევრით.
3. კომისიის წევრობის კანდიდატები წარდგენილ იქნენ ამ დადგენილების მიღებიდან 20 დღის ვადაში.
4. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

დავით ბაქრაძე

თბილისი,
2008 წლის 13 ივნისი.